



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№29 2017 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი

ანტიმიგრაციული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების
ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ანტიმიგრაციული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია.

2. ანტიმიგრაციული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის შესრულების კოორდინაცია განახორციელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია

სარჩევი

აკრონიმების განმარტება.....	3
1. შესავალი	4
1.1. ანტიმიკრობული რეზისტენტობის განსაზღვრება.....	4
1.2. საერთაშორისო და ეროვნული პასუხი ანტიბიოტიკორეზისტენტობას.....	5
1.3. მეთოდოლოგია.....	6
2. არსებული სიტუაციის ანალიზი საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის სფეროში	7
3. ანტიმიკრობული რეზისტენტობა სურსათისა და ვეტერინარიის სექტორში	8
4. საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის მთავარი გამოწვევები/პრობლემები.....	8
5. ეროვნული სტრატეგიის საჭიროება და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი.....	9
6. ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის მიზნები და ამოცანები.....	11
ამოცანა I. კოორდინაციისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა	12
ამოცანა II. ანტიბიოტიკების მოხმარებაზე ზედამხედველობა	12
ამოცანა III: ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობაზე ეპიდზედამხედველობა	13
ამოცანა IV: ინფექციების კონტროლის და პრევენციის გაძლიერება	16
ამოცანა V: მიკრობიოლოგიური ლაბორატორიების შესაძლებლობების გაძლიერება	17
ამოცანა VI: ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენება.....	19
ამოცანა VII: ცნობიერების ამაღლება და განათლება.....	20
ამოცანა VIII: სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობა.....	23
7. შესაძლო რისკები, დაფინანსების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.	
8. ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო სტრატეგიის ღონისძიებების დაფინანსება	26
დანართი 1. ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა	27
გამოყენებული ლიტერატურა	36

აკრონიმების განმარტება

ART	- ანტირეტროვირუსული თერაპია
CAESAR	- ანტიმიკრობული რეზისტენტობაზე ზედამხედველობა ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში
CDC	- აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები
EARSS-net	- ანტიმიკრობულ რეზისტენტობაზე ზედამხედველობის ევროპის ქსელი
ESCMID	- კლინიკური მიკრობიოლოგიის და ინფექციური დაავადებების ევროპის ასოციაცია
EUCAST	- ანტიმიკრობული მგრძნობელობის ტესტირების ევროპული კომიტეტი
PMTCT	აივ ინფექცია/შიდსის დედიდან ბავშვზე გადაცემის პროგრამის
RIVM	- ჰოლანდიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და გარემოს ეროვნული ინსტიტუტი
XDR-TB	- ზემდგრადად რეზისტენტული ტუბერკულოზი
ამრ	- ანტიმიკრობული რეზისტენტობა
დკსჯეც	- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
გკ	- ევროკომისია
სშჯსდს	- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ჯანმო	- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

1. შესავალი

1.1. ანტიმიკრობული რეზისტენტობის განსაზღვრება

ანტიმიკრობული რეზისტენტობა (ამრ) -- მიკროორგანიზმის მდგრადობა იმ ანტიმიკრობული პრეპარატის მიმართ, რომელიც თავდაპირველად ეფექტური იყო აღნიშნული მიკროორგანიზმის მიერ გამოწვეული ინფექციის სამკურნალოდ. რეზისტენტულ მიკროორგანიზმებს (ბაქტერიები, სოკოები, ვირუსები და პარაზიტები) შეუძლიათ გაუძლონ ისეთი ანტიმიკრობული მედიკამენტების მოქმედებას, როგორებიცაა ანტიბიოტიკები, ფუნგიციდური, ანტივირუსული და ანტიმალარიული პრეპარატები. ამგვარად, სტანდარტული მკურნალობა არაეფექტური ხდება. ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა არის ანტიმიკრობული რეზისტენტობის ტიპი, როდესაც ბაქტერია იძენს მდგრადობას ანტიბიოტიკის მიმართ, რომლის მიმართაც თავდაპირველად მგრძნობიარე იყო. მოცემული დოკუმენტი სწორედ ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობაზე არის ფოკუსირებული. ბაქტერიული ინფექციების მკურნალობა თანდათან რთულდება, რადგანაც იზრდება ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული პათოგენების რაოდენობა. პაციენტებისთვის ეს ხშირად მკურნალობის გახანგრძლივებულ პერიოდს ნიშნავს, რასაც ემატება მისგან გამოწვეული სტრესი და განცდა იმისა, რომ ინფექციისგან განკურნება რთულდება, ან შეუძლებელი ხდება. გარდა ამისა, იზრდება მკურნალობაზე ფინანსური დანახარჯებიც.

რეზისტენტული შტამების ევოლუცია ბუნებრივი ფენომენია, რომელიც მიმდინარეობს მიკროორგანიზმებში ანტიმიკრობული პრეპარატების მოქმედების შედეგად; ასევე, შესაძლოა მოხდეს რეზისტენტობის გენების ურთიერთგაცვლა ბაქტერიების განსაზღვრულ სახეობებს შორის. ანტიმიკრობული მედიკამენტების არასწორად გამოყენება აჩქარებს ხსენებულ ფენომენს. თავად ანტიბიოტიკების გამოყენება მსოფლიოში ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის განმაპირობებელ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. კლინიკაში ინფექციების არაეფექტური კონტროლი და პრევენცია ანტიმიკრობული რეზისტენტობის გავრცელებას უწყობს ხელს.

გარემო, სადაც იმყოფება ბევრი ადამიანი და ხდება ანტიბიოტიკების აქტიური გამოყენება (მაგალითად, საავადმყოფოები), უპირატესად წარმოადგენს რეზისტენტული ბაქტერიების ნავსაყუდელს.

რეზისტენტული ბაქტერიების ჯანდაცვაზე ზეგავლენის შეფასება რთულია; არსებულ მონაცემთა უმეტესობა არასრულყოფილია. ანტიმიკრობული რეზისტენტობის ყველაზე სრულყოფილ მონაცემებს ჯანმო-ს ევროპის რეგიონში მოიცავს *EARSS-net* ქსელი, რომელიც ევროპის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრს ეკუთვნის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინფორმაციას მოიცავს. ბოლო წლებში ქსელი გაფართოვდა ცენტრალური აზიის და არაევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართულებით -- CAESAR (ანტიმიკრობული რეზისტენტობაზე ზედამხედველობა ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში), როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონული ოფისის, კლინიკური მიკრობიოლოგიის და ინფექციური დაავადებების ევროპის ასოციაციის (ESCMID) და

ჰოლანდიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და გარემოს ეროვნული ინსტიტუტის (RIVM) ერთობლივი ინიციატივა.

1.2. საერთაშორისო და ეროვნული პასუხი ანტიბიოტიკორეზისტენტობას

ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა მსოფლიო პრობლემაა, რადგანაც მისი ახალი ფორმები ქვეყანათაშორის საზღვრებს სცდება და ადვილად ვრცელდება კონტინენტთა შორის. ჯანმოს ევროპის რეგიონის წევრი 29 ქვეყნიდან სავარაუდოდ 25000 ადამიანი ყოველწლიურად ანტიბიოტიკორეზისტენტული შტამებით გამოწვეული ინფექციების შედეგად იღუპება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სამკურნალო დაწესებულებებში ინფიცირდება. სავარაუდოდ, ეს მონაცემები პრობლემას ბოლომდე ვერ ასახავს, რადგან რეზისტენტული ბაქტერიების შედეგად გამოწვეული გართულებების რეგისტრაცია ჯანდაცვის სისტემების უმეტესობაში არასრულადაა დოკუმენტირებული.

ანტიმიკრობული რეზისტენტობა ისედაც გადატვირთულ ჯანდაცვის სისტემას საგრძნობ და თავიდან აცილებად ხარჯს ამატებს, რადგანაც რეზისტენტული შტამებით გამოწვეული ინფექციები გახანგრძლივებულ და უფრო ძვირად ღირებულ მკურნალობას საჭიროებს, ზრდის საავადმყოფოში დაყოვნების, სამედიცინო ხარჯებისა და ლეტალობის რისკს, ანტიბიოტიკების მიმართ მგრძნობიარე შტამებით გამოწვეულ ინფექციებისგან განსხვავებით.

2001 წელს, ჯანმო-მ და ევროკომისიამ (ეკ) ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის სტრატეგიები შეიმუშავეს. ორივე სტრატეგია ხაზს უსვამს ანტიმიკრობული რეზისტენტობის (ამრ-ს) კონტროლის მიზნით ზედამხედველობის რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო სტრატეგიების მნიშვნელობას და რეზისტენტობის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემების დანერგვას.

სხვადასხვა არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა იმოქმედონ და განახორციელონ ანტიმიკრობული რეზისტენტობის მომცველი ინიციატივები და სტრატეგიები. უფრო მეტიც, 2011 წელს ჯანმოს ევროპის რეგიონულმა კომიტეტმა წარადგინა ევროპის რეგიონის ანტიბიოტიკორეზისტენტობის სტრატეგიული გეგმა (EUR/RC61/14) რომელიც ამრ ს საფრთხის საპასუხოდ შვიდ სტრატეგიულ ამოცანას ითვალისწინებს. ქვეყნებისთვის ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია ამრ-სთან დაკავშირებული ღონისძიებების კოორდინირების მიზნით ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული სტრატეგიების შემუშავებაა.

გაერთიანებული ერების 71-ე გენერალურ ასამბლეაზე (21 სექტემბერი, 2016წ.) წევრმა-ქვეყნებმა მიიღეს ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ ძლიერი პოლიტიკური დეკლარაცია, რომელიც უზრუნველყოფს კარგ საფუძველს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ამ მიმართულებით მუშაობის გასაგრძელებლად. წევრმა-ქვეყნებმა ხელახლა დაადასტურეს ნაკისრი ვალდებულება - ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო გლობალური სამოქმედო გეგმის საფუძველზე შეიმუშაონ ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიები, რადგან „ანტიმიკრობული რეზისტენტობა წარმოადგენს ფუნდამენტურ საშიშროებას ადამიანთა ჯანმრთელობის, განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის“ (მარგარეტ ჩანი, ჯანმო-ს გენერალური

დირექტორი) და არც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანას, სექტორს ან ორგანიზაციას არ შეუძლია გადაწყვეტოს აღნიშნული პრობლემა.

საქართველოში არასაკმარისია ინფორმაცია სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციების გამომწვევი პათოგენებისა და მათი ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის შესახებ. საავადმყოფოების უმრავლესობაში ინფექციების კონტროლი და პრევენცია საჭიროებს გაუმჯობესებას, კლინიკებში „სარეზერვო“ ანტიბიოტიკების გამოყენებაზე ნაკლებად ხორციელდება ზედამხედველობა, რის გამოც ხშირად ხდება ბაქტერიოლოგიური და ანტიმიკრობული მგრძნობელობის კვლევების უგულებელყოფა.

საერთაშორისო გამოცდილებამ და ქვეყანაში არსებულმა გამოწვევებმა განაპირობა ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებულია ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო გლობალური სამოქმედო გეგმა, ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის მხრივ ამჟამად არსებული მონაცემები.

ეროვნული სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა, ანტიმიკრობულ რეზისტენტობაზე ზედამხედველობა და სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის გაძლიერება.

1.3. მეთოდოლოგია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწვეულ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონული ოფისის ექსპერტების მხარდაჭერით შემუშავდა ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგია. სტრატეგიის შემუშავებასა და განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“, სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდასისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის“ ექსპერტები. სტრატეგიაში ასახულია ექსპერტთა მიერ გამოთქმული წინადადებები და რეკომენდაციები.

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრის, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების რეკომენდაციები, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურასა და საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის მხრივ ამჟამად არსებული მონაცემები.

2. არსებული სიტუაციის ანალიზი საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის სფეროში

საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის მიმდინარე სიტუაციის შესახებ მონაცემები ძალზე მწირია. ბაქტერიოლოგიური კვლევა და მგრძნობელობაზე ტესტირება იშვიათად ტარდება ანტიბიოტიკის დანიშვნის კორექციის მიზნით და, აქედან გამომდინარე, დიდია ალბათობა, რომ მოცემული წამალი მკურნალობისთვის შესაძლოა არაეფექტური აღმოჩნდეს.

2006 წელს (რევაზიშვილი და კოლეგები) ჩატარებულმა მცირე მასშტაბის კვლევებმა აჩვენა მცირედ ჰომოგენური *Staphylococcus aureus* შტამების პოპულაცია ვანკომიცინის მიმართ რეზისტენტობის გარეშე, თუმცა, 50 შესწავლილი შტამიდან 22 (44%) მეთიცილინის მიმართ აღმოჩნდა რეზისტენტული.

საქართველოში ჩატარებული სხვა კვლევების მიხედვით (ეპიდბიულეტენი, დკსჯეც, 2009 წ.), 2002 წელს საქართველოში გამოყოფილი *S. aureus*-ის შტამების 98% რეზისტენტული იყო *penicillin*-ის და *ampicillin*-ის მიმართ; 67% – რეზისტენტული იყო *amoxicillin*-ის და *azithromycin*-ის მიმართ. *tetracycline*-ის, *oxacillin*-ის, *gentamicin*-ის, *tobramycin*-ის, *erythromycin*-ის, *clindamycin*-ის და *trimethoprim*-ის მიმართ რეზისტენტობა გამოვლენილ იქნა შტამების 50%-ზე ნაკლებ პროცენტში. *Ciprofloxacin*-ის მიმართ კი რეზისტენტული აღმოჩნდა შტამების მხოლოდ 17%. ბოლო 5 წლის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებებში *ciprofloxacin*-ის გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც, თავის მხრივ, კლინიკური ნიმუშებიდან გამოყოფილი ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული *Staphylococcus aureus*-ის მაჩვენებელი 47%-მდე გაზარდა. ასევე გაიზარდა მულტირეზისტენტული *Pseudomonas aeruginosa*-ის შტამების წილიც. დასაწყისში შტამების მხოლოდ 18% იყო რეზისტენტული *cefepime*-ს მიმართ, ხოლო 23% – *imipenem*-ს მიმართ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად 45% და 68% შეადგინა.

აღნიშნული ინფორმაციის მიუხედავად, კარგი ხარისხის, რეპრეზენტატული მონაცემების მოძიება კვლავაც პრობლემად რჩება. რუტინული ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესება ეროვნული სამოქმედო გეგმის ძირითად კომპონენტს შეადგენს, ისევე, როგორც ეს სხვა ქვეყნების სამოქმედო გეგმებშია ფორმულირებული.

ტუბერკულოზის (XDR-TB), სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და აივ ინფექცია/შიდსი, მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, საზოგადოებისთვის კვლავ პრობლემად რჩება. რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა შესაძლებელი 2009 წლიდან გახდა, ხოლო მაღალეფექტური ანტირეტროვირუსული თერაპია (ART) – 2004 წლიდან. 2005 წელს სახელმწიფოს მიერ აივ ინფექცია/შიდსის დედიდან ბავშვზე გადაცემის პროგრამის (PMTCT) დანერგვამ დაავადების ვერტიკალური გზით გადაცემა შეამცირა.

3. ანტიმიკრობული რეზისტენტობა სურსათისა და ვეტერინარიის სექტორში

ანტიმიკრობული რეზისტენტობის შეჩერება პრობლემისადმი მრავალმხრივ მიდგომას საჭიროებს, რადგანაც ანტიმიკრობული რეზისტენტობა თავს იჩენს როგორც ადამიანის, ასევე ვეტერინარულ მედიცინაშიც. ცხოველის საკვებში ანტიბიოტიკების გამოყენება იწვევს რეზისტენტობის ჩამოყალიბებას, რომელიც ადამიანს შეიძლება გადაეცეს კვებითი ჯაჭვისა, და/ან ცხოველებთან პირდაპირი ან გარემოს ობიექტებთან არაპირდაპირი კონტაქტის შედეგად. ცხოველის საკვებში ანტიბიოტიკების მოხმარება და რეზისტენტობა კიდევ უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე ჯანდაცვის სექტორში. არასაკმარისმა რეგულაციებმა ამრ-ის პრობლემაზე შესაძლოა არასასურველი ეფექტი გამოიწვიოს. მოცემულ დოკუმენტში აღწერილი პრინციპები ადამიანის ჯანმრთელობაზე არის მორგებული, თუმცა ისინი ასევე რელევანტურია ვეტერინარული სექტორისთვისაც. ვეტერინარული სამსახურისთვის რეკომენდებულია სტრატეგიის შემუშავება, რომელიც კოორდინაციაში იქნება ჯანდაცვის სექტორის სტრატეგიასთან.

ვეტერინარულ სექტორისთვის შესამუშავებელი სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს (თუმცა არ უნდა შემოიფარგლოს) შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- ვეტერინარიაში ანტიბიოტიკების გამოყენების შეზღუდვა (ზოგიერთი მათგანის გამოყენების აკრძალვა, მათი ზრდის სტიმულატორად გამოყენების აკრძალვა და მხოლოდ თერაპიული მიზნით გამოყენების დაშვება);
- ვეტერინარიაში გამოყენებულ ანტიბიოტიკებზე მონიტორინგის დაწყება (მათ შორის, ცხოველური წარმოშობის პირველად პროდუქტში ანტიბიოტიკების ნარჩენების კონტროლი);
- ვეტერინარებსა და ფერმერებს შორის ამრ-ის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება უვნებელი ცხოველის საკვების პრინციპების გამოყენების გათვალისწინებით;
- სურსათის ბაქტერიული დაბინძურების მონიტორინგის გაძლიერება/გაფართოება (მ. შ. ლაბორატორიული შესაძლებლობების).

4. საქართველოში ანტიმიკრობული რეზისტენტობის მთავარი გამოწვევები/პრობლემები

საქართველოში 1991 წლიდან დაიწყო ჯანდაცვის მკაცრად ცენტრალიზებული სემაშკოს სისტემის რესტრუქტურისაცია, რომელიც ამჟამად პრივატიზაციის მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება. უახლოეს წლებამდე სამედიცინო სერვისის მიმწოდებლებთან მიმართებაში მარეგულირებელი გარემო არასრულყოფილი იყო. სამედიცინო სერვისების მიმწოდებელთა რეგულირების ინსტრუმენტები (ლიცენზია/ნებართვა/მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობათა შეტყობინების რეჟიმი) მოიცავდა მხოლოდ სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო ბაზისურ მოთხოვნებს. ასევე, კანონმდებლობა ითვალისწინებდა გარკვეულ მოთხოვნებს სამედიცინო დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მიმართ, თუმცა, აღნიშნული არ იყო საკმარისი, ამასთან, არ არსებობდა დეტალურად გაწერილი პროცედურები სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციური კონტროლის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით

შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებებში სანიტარიული მდგომარეობა, გარკვეულ შემთხვევებში, იყო არასახარბიელო, ხოლო მიკრობიოლოგიური დიაგნოსტიკის შესაძლებლობები – შეზღუდული. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბრის №01-38/ნ ბრძანებით დამტკიცდა „ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის, პრევენციისა და კონტროლის წესები“.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამედიცინო პრაქტიკა, ინფექციურ დაავადებებთან მიმართებაში, ემყარება კარგი პრაქტიკის მიკრობიოლოგიურ კვლევებს. თუმცა, სამედიცინო დაწესებულებებში ექიმი ხშირად დაუსაბუთებლად ნიშნავს ანტიბიოტიკებს. უმეტეს სტაციონარულ დაწესებულებებში არ ხორციელდება არც ანტიმიკრობული პრეპარატების მოხმარების მონიტორინგი. ეროვნულ დონეზე ანტიბიოტიკების მოხმარება ნაკლებად არის შესწავლილი. სამედიცინო პერსონალს ესაჭიროება ცოდნა ანტიმიკრობული რეზისტენტობისა და ინფექციების კონტროლის შესახებ და პრობლემა არასაკმარისად აქვს გათვითცნობიერებული. ქვეყანაში არ არსებობს მონაცემები ვეტერინარიაში გამოყენებული ანტიბიოტიკების და ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესახებ.

სამედიცინო დაწესებულებები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ინფექციების კონტროლსა და პრევენციას. მათ უმრავლესობას არ გააჩნია ინფექციების კონტროლის სრულყოფილი პროგრამა და შეიძლება ითქვას, ინფექციური კონტროლის კომიტეტების ფუნქციონირება არაეფექტურია და რიგ შემთხვევებში, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

5. ეროვნული სტრატეგიის საჭიროება და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი

ანტიმიკრობული რეზისტენტობის გამომუშავება კომპლექსური პროცესია და მასზე ზეგავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. საქართველოში და რეგიონის სხვა ქვეყნებში რეზისტენტობის მაჩვენებლების მატება გადაუდებელ ქმედით ღონისძიებებს საჭიროებს. საფრანგეთის მაგალითი მკაფიოდ აჩვენებს, რომ კოორდინირებული ეროვნული სტრატეგიის დანერგვას ანტიბიოტიკების გამოყენების და ანტიმიკრობული რეზისტენტობის მაჩვენებლების მნიშვნელოვანი შემცირება შეუძლია.

მიუხედავად ანტიმიკრობული რეზისტენტობის გლობალური¹ და რეგიონული² სტრატეგიების არსებობისა, ჯანმო მკაფიოდ უჭერს მხარს ამრ-ის პრობლემისადმი მიმართული ეროვნული სტრატეგიების შემუშავებას. ეს მხარდაჭერა გაძლიერებულია გლობალურ დონეზე (EB134.R13) რეზოლუციის მიღებით, რომელიც წევრ ქვეყნებს (სხვა ამოცანებთან ერთად) ანტიმიკრობული რეზისტენტობის შეკავებისთვის გეგმების და სტრატეგიების შემუშავების და გაძლიერებისკენ მოუწოდებს. ეს რეზოლუცია 2014 წლის 66 ე ჯანმრთელობის ასამბლეაზე იქნა წარდგენილი და დამტკიცებული.

¹ EB134 R13 (2014) ანტიმიკრობულ რეზისტენტობასთან ბრძოლა. ანტიბიოტიკორეზისტენტობის ჩათვლით http://www.who.int/drugresistance/WHO_Global_Strategy_English.pdf?ua=1

² ჯანმო (2011) ანტიბიოტიკორეზისტენტობის ევროპის სტრატეგიული გეგმა. ვენეცია http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0008/147734/wd14E_AntibioticResistance_111380.pdf?ua=1

2014-2020 წლების საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სახელმწიფო კონცეფცია „საყოველთაო ჯანდაცვა და ხარისხის მართვა პაციენტთა უფლებების დასაცავად“ მოიცავს რიგ მიზნებს, რომლებიც მხარს უჭერს ამრ-სთვის სპეციფიკური სტრატეგიის შემუშავებას, და ასევე, იმ პრინციპებს, რომლებიც ამრ-სთან დაკავშირებულ ღონისძიებებშია აღწერილი. ამ მიზნებს შორისაა:

- ჯანდაცვის და სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- ჯანდაცვის სექტორისთვის დაშვების/ლიცენზირების მოთხოვნები;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური პრაქტიკის ხელშეწყობა.

ანტიმიკრობული რეზისტენტობის საქართველოს ეროვნული სტრატეგია შემუშავდა სახელმწიფო დონეზე კოორდინაციის, შეფასების და ღონისძიებათა გაფართოების გზით, თუმცა, იმპლემენტაციის პროცესში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მისი შემდგომი დახვეწის და განვითარების შესაძლებლობებიცაა დატოვებული. ქმედებები საფუძვლად უდევს ინტერვენციების დაგეგმვას, შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას, ასევე, ეტაპობრივი პროგრესის მიღწევას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. მოცემული სტრატეგია შესაბამისობაშია ევროპის ანტიმიკრობული რეზისტენტობის სტრატეგიულ სამოქმედო ძირითად გეგმასთან.

სტრატეგია ინფორმაციის და მონაცემების განახლების პარალელურად, რეგულარულ გადახედვას საჭიროებს. ამრ-ის საკითხებზე მუდმივად მომუშავე სამუშაო ჯგუფი (ინფექციური კონტროლისა და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 16 აპრილის 01-110/ო ბრძანება) მოახდენს ქმედებების პრიორიტეტიზაციას, ასევე, განსაზღვრავს დაფინანსებას და იმპლემენტაციის დროის ჩარჩოს.

ანტიმიკრობული რეზისტენტობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომელთა ფარგლებშიც რეგულირდება მოქალაქის უფლება, მიიღოს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება დისკრიმინაციისაგან თავისუფალ გარემოში, სადაც დაცული იქნება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, თავისუფლებები და გარანტიები, შემდეგია:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;
6. „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბერის №385 დადგენილება;
7. „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილება;

8. „სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეფასების შიდა სისტემის ფუნქციონირების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 12 სექტემბრის №01-63/ნ ბრძანება;
9. „ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის, პრევენციისა და კონტროლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბრის №01-38/ნ ბრძანება;
10. „ტექნიკური რეგლამენტი - სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №64 დადგენილება;
11. „სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №185 დადგენილება;
12. „ინფექციური კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 14 აპრილის №148/ო ბრძანება.

6. ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

ანტიმიკრობული რეზისტენტობის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ანტიმიკრობული რეზისტენტობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის დანერგვის ხელშეწყობა საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში.

სტრატეგიის ამოცანები შემდეგია:

- ამოცანა I: კოორდინაციისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- ამოცანა II. ანტიბიოტიკების მოხმარებაზე ზედამხედველობა;
- ამოცანა III: ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობაზე ეპიდზედამხედველობა;
- ამოცანა IV: ინფექციების კონტროლის და პრევენციის გაძლიერება;
- ამოცანა V: მიკრობიოლოგიური ლაბორატორიების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ამოცანა VI: ანტიბიოტიკების რაციონალური გამოყენება;
- ამოცანა VII: ცნობიერების ამაღლება და განათლება;
- ამოცანა VIII: სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობა.

ამოცანა I. კოორდინაციისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა

სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად მნიშვნელოვანია მუდმივმოქმედი მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელსაც ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგის და კონტროლისთვის აუცილებელი უფლებამოსილება ექნება.

აქტივობა	მოსალოდნელი შედეგი	ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია	ვადა	საერთო ბიუჯეტი (GEL)	ბიუჯეტი ს წყაროები
1.1. ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა	შეიქმნება სტრატეგიის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფი	სშჯსდს დკსჯეც	2017	არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს	-

ამოცანა II. ანტიბიოტიკების მოხმარებაზე ზედამხედველობა

ჟურნალ „ლანცეტი“ (Versporten A et al. 2014) გამოქვეყნებულ კვლევაში ქვეყანაში ანტიბიოტიკების საბითუმო დონეზე მოხმარებაა გაანალიზებული, თუმცა, რუტინული მონაცემთა ანალიზი ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ ჯერ არ ჩატარებულა. წესი, რომელიც ანტიბიოტიკების რეცეპტის გარეშე გაყიდვას კრძალავს, ძალაში 2014 წლის სექტემბრიდან შევიდა. თავისუფალი გაყიდვის აკრძალვის მხარდაჭერა, მის გასაძლიერებელ ყოვლისმომცველ მექანიზმებთან და რეგულაციებთან ერთად, პოლიტიკის წარმატების გასაღებად შეიძლება ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, წამლების გაცემის პროცესზე სუპერვიზორების ფუნქცია მკაფიოდ განსაზღვრავს მის საჭიროებას. ასევე, 2016 წლის აგვისტოდან ამოქმედდა ელექტრონული რეცეპტის სისტემა, რაც, სამომავლოდ, ყველა რეცეპტის შესახებ მონაცემთა შეგროვების, მონიტორინგისა და ანალიზის საშუალებას იძლევა.

აქტივობა	მოსალოდნელი შედეგი	ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია	ვადა	საერთო ბიუჯეტი (GEL)	ბიუჯეტის წყაროები
2.1. ანტიბიოტიკების მოხმარების ეროვნული მონაცემების შეგროვება და ანალიზი	ქვეყანაში შეფასდება ანტიბიოტიკების მოხმარება და განისაზღვრება სტაციონარული დაწესებულებების მიერ მოხმარებული ანტიბიოტიკების წილი	წლის განმავლობაში გაყიდული ანტიბიოტიკების რაოდენობის შესახებ კვლევის მონაცემები (მოცვა: სააფთიაქო ქსელების 25 %)	სშჯსდს დკსჯეც	სისტემის გაშვება – 2017 მონაცემების დამუშავება – 2018	30 000	სახელმწიფო ბიუჯეტი
2.2. სამედიცინო სტაციონარულ დაწესებულებებში ანტიმიკრობული პრეპარატების მონიტორინგი		ხუთ სტაციონარში შეგროვდა და გაანალიზდა მონაცემები ერთი წლის განმავლობაში გამოყენებული ანტიმიკრობული პრეპარატების შესახებ	სშჯსდს დკსჯეც	2017-2018	50 000	სახელმწიფო ბიუჯეტი; CDC

ამოცანა III: ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობაზე ეპიდზედამხედველობა

არსებობს რამდენიმე ადრეული პერიოდის კვლევა, სადაც საქართველოში ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობის მონაცემებია მოყვანილი. უკანასკნელ წლებში არის გარკვეული გამოუქვეყნებელი მონაცემები, თუმცა, მათი მეთოდოლოგია არ არის სტანდარტული და ამგვარად, უცნობია, რამდენადაა ეს მონაცემები რეპრეზენტატული. ორივე შემთხვევაში, ახალი და ძველი მონაცემები გვაფიქრებინებენ, რომ საქართველოში შესაძლოა იყოს ჯერ კიდევ გამოუვლენელი რეზისტენტული შტამები. საჭიროა არსებობდეს სარწმუნო მონაცემები, რათა მოხდეს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მოცემული რეკომენდაციების პროგრესის შეფასება.

ანტიბიოტიკორეზისტენტობის პრობლემის შინაარსისა და მასშტაბის, ასევე, გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებისათვის აუცილებელია ადგილობრივ და ცენტრალურ

დონეებზე მონიტორინგის სისტემის არსებობა. აღნიშნულის ფარგლებში მნიშვნელოვანია მულტირეზისტენტული ბაქტერიების სწრაფი იდენტიფიცირება სამედიცინო დაწესებულებებსა და საზოგადოებაში მათი შემდგომი გავრცელების პრევენციის მიზნით. არსებული ანტიმიკრობული რეზისტენტობის „სურათის“ ცოდნა, ასევე, ანტიბიოტიკების დანიშვნისთვის ახალი კლინიკური გზამკვლელების შემუშავების წინაპირობას წარმოადგენს. ანტიბიოტიკორეზისტენტობის მონიტორინგი, პირველ რიგში, მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიებში ჩატარებულ პაციენტის რუტინულ გამოკვლევებს ეფუძნება. ამასთან, მონაცემებს თან უნდა ახლდეს მიზანმიმართული გამოკვლევა სპეციფიკურ პრობლემასთან მიმართებაში.

მულტირეზისტენტობის მონიტორინგის მიღწევა ხარისხის გარე კონტროლის მექანიზმების მონაცემებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. დაწესებულებებში შეგროვებული მონაცემები უნდა შეჯერდეს და გაანალიზდეს როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეებზე.

აქტივობა	მოსალოდნელი შედეგი	ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია	ვადა	საერთო ბიუჯეტი (GEL)	ბიუჯეტის წყაროები
3.1. ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული სურათის შექმნა	შეიქმნება ანტიმიკრობული რეზისტენტობის ეროვნული პროფილი, რაც ხელს შეუწყობს მიზნობრივი ანტიმიკრობული თერაპიის პრინციპების დანერგვას კლინიკურ პრაქტიკაში	შეიქმნა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელთა ქსელი, სადაც მოიპოვება ინფორმაცია ნოზოკომიური ინფექციების გამომწვევი ბაქტერიების ანტიმიკრობული რეზისტენტობის	სმჯსდს დკსჯეც	2017-2018	71 500	სახელმწიფო ბიუჯეტი; ჯანმო

აქტივობა	მოსალოდნელი შედეგი	ინდიკატორი	პასუხისმგებელი უწყება/ორგანიზაცია	ვადა	საერთო ბიუჯეტი (GEL)	ბიუჯეტი ს წყაროები
3.2. მიკრობიოლოგიური ლაბორატორიების CAESAR-ის ქსელში (ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზედამხედველობა) ნებაყოფლობითი ჩართვა		ობის შესახებ CAESAR-ის ქსელში ჩართულია 11 მიკრობიო ლოგიური ლაბორატო რია	დკსჯეც	2017	15 000	ჯანმო
3.3. შერჩეულ ამბულატორიებში , საზოგადოებასთან ასოცირებული ინფექციებით დაავადებულ პაციენტთა ბაქტერიოლოგიუ რი გამოკვლევა, გამომწვევთა იდენტიფიკაცია და ანტიმიკრობული რეზისტენტობის შესწავლა		10 ამბულატო რიაში დადგენილ ია საზოგადოე ბასთან ასოცირებუ ლი ინფექციები ს გამომწვევი ბაქტერიუ ლი პათოგენებ ი და შესწავლილ ია მათი ანტიმიკრო ბული რეზისტენტ ობა	სმჯსდს დკსჯეც	2018- 2019	20 000	სახელმწი ფო ბიუჯეტი

